ᲐᲠᲔᲓᲝ ᲑᲐᲜᲘ
CREDO BANK

სს კრედო ბანკი
№005
გასული 11/403-19
თარიღი 11.07.19

შპს „ბლეკონი“-ს, ს/კ 406025867 დირექტორს

ქ-ნ ინგა ავლახაშვილს, პ/ნ 01024029841

ქ-ნო ინგა, თქვენი 2019 წლის 11 თებერვლის N2-367-19 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სს „კრედო ბანკი“ (ყოფილი შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო), ს/კ 205232238 თანხმობას აცხადებს, განხორციელდეს მშენებლობა იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე - საკადასტრო კოდი: **01.17.11.026.041**, იპოთეკის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით. კერძოდ, 2015 წლის 06 ივლისს გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებისა (**N20150706BZHGH-I**) და 2017 წლის 28 ივლისს გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებისა (**N20170728BZHGH-I**) შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგნის გაერთიანების შედეგად მიღებულ ახალ ნივთზე (იპოთეკა ვრცელდება იპოთეკის საგანთან არსებით შემადგენელ ნაწილად შეერთებულ ნაწილზეც). აღნიშნული ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ იპოთეკის საგანს დაემატება (მიეშენება, დაეშენება) შენობა (შენობის ნაწილი). აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის საგანში შემავალ მიწის ნაკვეთზე აღიმართება შენობა-ნაგებობა. აღნიშნული ნორმა ვრცელდება იპოთეკის საგნის ყველა გაუმჯობესების მიმართ.

ყოველივე ზ/აღნიშნულის შესაბამისად, სს „კრედო ბანკი“ თანახმა არის თქვენს მიერ მოთხოვნილი მშენებლობის განხორციელებაზე მხოლოდ იმ პირობით, რომ იპოთეკა გავრცელდება აშენებულ (მიშენებულ/ დაშენებულ) შენობა-ნაგებობაზეც.

დანართი: ლია ტაბატაძის მინდობილობა

სს „კრედო ბანკის“

თბილისის რეგიონალური იურისტი

ლია ტაბატაძე

სს "კრედო ბანკი"
სს „კრედო ბანკი“ საქართველო, თბილისი 0153,
გლდანის საცხოვრებელი რაიონი,
1 კვარტლის მიმდებარედ, (მუხიანის წრესთან)
T: (032) 2 42 42 42 F: (+995 32) 2 42 42 42
info@credo.ge
www.credo.ge

JSC "Credo Bank"
Gldani nearby 1m/r , at mukhiani circle str.,
Tbilisi 0153 Georgia
T: (032) 2 42 42 42 F: (+995 32) 2 42 42 42
info@credo.ge
www.credo.ge

ს.ს. კრედო ბანკი
CREDO BANK

მიწდობილობა

მიწდობილობა ეძლევა ს.ს. "კრედო ბანკის" (ს/კ 205232238) იურისტებს **ლია ტაბატაძეს (პირადი N01013024341) და მარიამ დოლიძეს (პ/ნ 57001027237)** მასზედ, რომ ისინი უფლებამოსილი არიან დამოუკიდებლად და ცალ-ცალკე წარმოადგინონ ზემოაღნიშნული ორგანიზაცია საქართველოს პირველი ინსტანციის საქალაქო (რაიონული), სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში, სხვა დავის განმხილველ ორგანოში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ წებისმიერ არბიტრაჟში, იუსტიციის სამინიტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - აღსრულების ეროვნულ ბიუროში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობაში და აწარმოონ შესაბამისი სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციული საქმე.

მათ მინიჭებული აქვს ყველა საპროცესო უფლება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, მათ შორის: ს.ს. "კრედო ბანკის" სახელით შეიტანონ განცხადება და/ან სარჩელი (შეგებებული სარჩელი, კერძო საჩივარი) სასამართლოში, გადაიხადონ სახელმწიფო ბაჟი, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილება, წარადგინონ მტკიცებულებანი, მოწაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებანი საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვან სარჩელზე, უკან გამოიხმონ სარჩელი, შეცვალონ სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, სცნონ სარჩელი სრულად ან ნაწილობრივ, გაასაჩივრონ სასამართლოს წებისმიერი აქტი, წარადგინონ სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, დაამთავრონ საქმე მორიგებით, უარი თქვან გასაჩივრებაზე, მოითხოვონ და მიიღონ სააღსრულებო ფურცელი, შეიტანონ სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში/კერძო აღმასრულებელთან და აწარმონ სააღსრულებო საქმე, მათ შორის კერძო აღმასრულებელთან, შეიტანონ აპლიკაცია გამარტივებული საქმის წარმოების შესახებ, აწარმოოს გამარტივებული საქმის წარმოების წესით საქმე აღსრულების ეროვნულ ბიუროში, გამარტივებული საქმის წარმოების პროცესში დაამთავროს საქმე მორიგებით, მიიღოს ქონება და ფული, იყოს ს.ს. "კრედო ბანკის" წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, შეიტანონ საქმე გამარტივებული წარმოებისთვის სააღსრულებო ბიუროში.

არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მიწდობილი პირების უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მიწდობილობაში მათი უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მიწდობილი პირები უფლებამოსილნი არიან შეასრულონ სხვა წებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მიწდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მიმწდობის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

მიწდობილობა გაცემულია 2017 წლის 09 ოქტომბერს და ძალაშია მის გაუქმებამდე.

ს.ს. „კრედო ბანკის"
გენერალური დირექტორი

ზაალ ფირცხელავა

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181526655
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.12.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ინგა ხარძიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. #6, პირველი სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2308930; მაგთი ფიქსი: 790761651; მობ: 599502834;
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	15042441831818

ორიათას თვრამეტი წლის ჩვიდმეტ დეკემბერს, მე, ნოტარიუსი ინგა ხარძიანი, ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისში, დ. გამრეკელის (კუტუზოვის) ქ. # 6 პირველ სართულზე ვამოწმებ მინდობილობის ასლის იდენტურობას დედანთან ორმოცდაათ ეგზემპლარად.
ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის (დამოწმებული ასლის) კანონიერებისა და ნამდვილობის დამოწმებას და შესაბამისად, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, თუკი დოკუმენტის დედანი კანონსაწინააღმდეგოა (ან შეიცავს კანონსაწინააღმდეგო დებულებებს), ან გაყალბებულია (მატერიალურად და/ან შინაარსობრივად).
გადახდილია სანოტარო საზღაური თანახმად 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება #507, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ დადგენილების 31-ე მუხლისა, გადახდილია 25.00 ლარი, აგრეთვე დ.ღ.გ 4.50 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია 29.50 ლარი (ოცდაცხრაი ლარი და ორმოცდაათი თეთრი).

ნოტარიუსი /ინგა ხარძიანი/.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18